საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

1440-01-2-201903291139

N 01/1440
29/03/2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

როგორც მოგეხსენებათ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით შემუშავდა „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ (შემდგომში სტრატეგია) პროექტი. ასევე მომზადებულ იქნა აღნიშნული სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტი, რომლის განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, ექვემდებარება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას (შემდგომში სგშ). ამავე კოდექსის, მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ ადმინისტრაციული ორგანო ან სხვა უფლებამოსილი ორგანიზაცია, რომელიც შესაბამისი ნორმატიული აქტის თანახმად, პასუხისმგებელია სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებისთვის წარმოადგენს დამგეგმავ ორგანოს. ამავე კოდექსის, 20-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და 23-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების შესაბამისად, თუ დამგეგმავი ორგანო მიიჩნევს, რომ სგშ-ის ჩატარება საჭირო არ არის, იგი უფლებამოსილია სგშ-ის ჩატარების საჭიროების განსაზღვრის მიზნით გამოიყენოს სკრინინგის პროცედურა, რომლის შედეგების მიხედვით ჩატარდება ან არ ჩატარდება სგშ. დამგეგმავი ორგანო უფლებამოსილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართოს სკრინინგის განცხადებით და წარუდგინოს სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი (იგი უნდა მოიცავდეს მოკლე ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების, ამოცანებისა და ღონისძიებების შესახებ).

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2018 წლის 29 ოქტომბრის N01/3905 წერილით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მიმართა სკრინინგის განცხადებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და წარუდგინა „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ პროექტი, რასთან დაკავშირებითაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გამოცემულ იქნა 2018 წლის 27 დეკემბრის N2-959 ბრძანება და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ პროექტი არ დაექვემდებაროს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას.

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

ვინაიდან კოდექსის 51-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ნაწილში სკრინინგის განცხადების განხილვაზე უფლებამოსილება ამოქმედდა 2018 წლის 31 დეკემბრიდან, წარმოგიდგენთ საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“-ის და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტებს სკრინინგის პროცედურების განხორციელებისათვის და მოგაწვდით ინფორმაციას განხორციელების არეალის შესახებ, აგრეთვე ინფორმაციას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის მომზადების, სტრატეგიული დოკუმენტის მიღების/გამოცემის და განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ მიხედვით, მულტისექტორული/სექტორული სტრატეგიაში განისაზღვრება მიზნები და ამოცანები. ღონისძიებები განისაზღვრება სამოქმედო გეგმაში, სადაც მიეთითება კონკრეტული აქტივობა, შესრულების ინდიკატორი, ბიუჯეტი, დაფინანსების წყარო, განმახორციელებელი, პარტნიორი ორგანიზაცია, შესაძლო რისკები და განხორციელების ვადა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“-ის პროექტის მიზანია მაღალმთიანი დასახლებების სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციისა და არსებული პოტენციალის ანალიზის საფუძველზე საქართველოს რეგიონების ინკლუზიური და მდგრადი განვითარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება, საქართველოს მოქალაქეებისათვის თანაბარი შესაძლებლობების გაჩენის, ცხოვრების დონის გაუმჯობესების, საერთო კეთილდღეობის ამაღლებისა და ქვეყნის ტერიტორიის თანაბარი სოციალური და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის. სტრატეგიის მიზნების მისაღწევად შემდეგი ამოცანებია გათვალისწინებული - ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა, ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა, დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება, კომუნალური და საკომუნიკაციო სერვისების ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდების მხარდაჭერა, კულტურულ-სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, მართვისა და მომსახურების ინოვაციური სისტემების დანერგვა, საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა. „გარემოსდაცვით შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულია, რომ სგშ-ის ჩატარება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის, რომელიც შემდეგ სექტორებში ადგენს სამომავლო განვითარების ჩარჩოს საქმიანობებისათვის: ა) სოფლის მეურნეობა; ბ) სატყეო მეურნეობა; გ) თევზჭერა; დ) ენერგეტიკა; ე)მრეწველობა; ვ) ტრანსპორტი; ზ) ნარჩენების მართვა; თ) წყლის რესურსების მართვა; ი)ელექტრონული კომუნიკაციები; კ) ტურიზმი; ლ) დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა. როგორც აღინიშნა, სტრატეგიის პროექტი ითვალისწინებს, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას, კომუნალურ და საკომუნიკაციო სერვისების ხელმისაწვდომობას, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სტრატეგიით განსაზღვრულია მხოლოდ ზოგადი მიზნები და ამოცანები და ის არ ადგენს კონკრეტულ პროექტს, აქტივობას, რომელიც ზეგავლენას მოახდენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, ის 2 წლიანია და წარმოადგენს ოპერატიულ დოკუმენტს, რომელიც აღწერს აქტივობებს, განმახორციელებელი უწყებების მითითებით, რამაც უნდა უზრუნველყოს სტრატეგიაში განსაზღვრული მიზნების მიღწევა და ამოცანების შესრულება. მაგალითად, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა:

- სასწრაფო დახმარების შენობების მშენებლობა (11) და ამბულატორიებისათვის შენობების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღდგენა (სულ მცირე 100)
- მშენებლობას და რეაბილიტაციას ბაღების, სკოლების (მშენებლობა 6 და 14 სკოლის რეაბილიტაცია) და სკოლა-პანსიონების რეაბილიტაცია (3)
- გზების მშენებლობა/რეაბილიტაციას (დაახლოებით 300კმ)
- დასახლებებში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციას (24)
- ელექტორიფიცირებას (დაახლოებით 200 ოჯახი)
- გაზიფიცირებას (სულ მცირე 50 მაღალმთიანი დასახლებისთვის)
- ინტერნეტიზაციას (პირველი ეტაპისათვის დაახლოებით 500 ოჯახისთვის)
- მაღალმთიან რეგიონებში გადამამუშავებელი საწარმოების მხარდაჭერას
- ახალგაზრდების მხარდაჭერას
- პრევენციული ღონისძიებებს ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ზიანის შემცირების მიზნით
- ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციას, მუზეუმების მშენებლობა/რეაბილიტაციას (2)
- მუნიციპალიტეტებში ინფორმაციული ნაკადების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის, მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მონაწილეობის ელექტრონული საშუალებების დანერგვას
- მყარი ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მოწყობას (2)
- და სხვა

რაც შეეხება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს:

ა) სტრატეგიული დოკუმენტის მახასიათებლები:

ა.ა) სტრატეგიის მოქმედება ვრცელდება არა, რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე, არამედ, ზოგადად, „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა მაღალმთიან დასახლებაზე. ამდენად, სტრატეგიული დოკუმენტით არ არის განსაზღვრული განსახორციელებელი საქმიანობების კონკრეტული ადგილმდებარეობა. ასევე, შეუძლებელია დადგინდეს სტრატეგიული დოკუმენტით განსაზვრული ამოცანების ფარგლებში თუ რა ტიპის და მოცულობის საქმიანობის განხორციელება გახდება საჭირო. ამასთანავე „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“ პროექტი არ ადგენს სამომავლო ჩარჩოს ბუნებრივი რესურსების განაწილების კუთხით განსახორციელებელი საქმიანობისათვის.

ასევე, არც სამოქმედო გეგმა ადგენს ჩარჩოს სამომავლოდ განსახორციელებელ საქმიანობებისათვის, არამედ განსაზღვრავს კონკრეტულ ღონისძიებებს, განმახორციელებელ პასუხისმგებელ უწყებას, ვადებს. რაც შეეხება საქმიანობების განხორციელების ადგილს, ტიპს და მოცულობას, აღსანიშნავია, რომ განხორციელების ადგილად მითითებულია ზოგადად მაღალმთიანი დასახლებები, ხშირად დაკონკრეტებულია მუნიციპალიტეტი, სადაც შემავალ მაღალმთიან დასახლებაში/დასახლებებში განხორციელდება კონკრეტული პროექტი. ძირითადად სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ინფრასტრუქტურული ღონისძიებები. სამოქმედო გეგმა ასევე მოიცავს საგანანმანათლებლო, ცნობიერების ასამაღლებელ, ეკონომიკური აქტივობის წამახალისებელ, სერვისების ეფექტური მიწოდების კონკრეტულ ღონისძიებებს. ამოცანების შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში აისახა, როგორც სამინისტროს სისტემაში შემავალი

და დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებების, ასევე სხვადასხვა უწყებების მიერ დაგეგმილი აქტივობები.

ა.ბ) „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის პროექტებით არ დგინდება სხვა გარემოსდაცვით სტრატეგიულ დოკუმენტებთან მიმართება.

ა.გ) რაც შეეხება სტრატეგიული დოკუმენტის მნიშვნელობას გარემოსდაცვითი საკითხის ინტეგრირების თვალსაზრისით, მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის, აღსანიშნავია რომ სტრატეგიაში განსაზღვრული მაღალმთიანი დასახლებების მდგრადი განვითარების მიზნის ქვეშ გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვის ამოცანის შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ტყის რესურსების მართვისა და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ცნობიერების ამაღლების კონკრეტული ღონისძიებები.

ა.დ) სტრატეგიის პროექტში ზოგადად არის მითითებული გარემოს დაცვის და გარემოს დაბინძურებისაგან თავის არიდების აუცილებლობისა და მნიშვნელობის შესახებ, ხოლო კონკრეტული გარემოსდაცვითი ასპექტები, როგორც აღინიშნა „ა.გ“ ქვეპუნქტში, განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის ღონისძიებებში.

ბ) ზოგადი ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების ზემოქმედების ხასიათისა და ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიის მახასიათებლების შესახებ, კერძოდ:

ბ.ა) სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით არ დგინდება ჩარჩო პირობები, რომელსაც ექნება ტრანსასაზღვრო ზემოქმედების შესაძლებლობა.

ბ.ბ) რაც შეეხება გარემოსთან ან/და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს შეუძლებელია სტრატეგიის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე დადგინდეს, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათი. სამოქმედო გეგმაში კი განსაზღვრული ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა საგანანმანათლებლო, ცნობიერების ასამაღლებელი, ასევე სოციალური პროგრამების (ფულადი დახმარებები) განხორციელება, არ წარმოშობს გარემოს ცვლილებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის რისკებს. ხოლო რაც შეეხება ისეთ ღონისძიებებს, რომელიც ითვალისწინებს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს - მშენებლობას, რეაბილიტაციას, დაკავშირებადობის უზრუნველყოფას, დამონტაჟებას, გარემოს შეცვლას და ა.შ. ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლიდან გამომდინარე, გარემოსდაცვით შეფასებას ექვემდებარება კოდექსის დანართებით განსაზღვრული საქმიანობები, და რომ ეს საქმიანობები უნდა განხორციელდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ამდენად, თუ „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის“ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ისეთი საქმიანობა, რომელიც ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, კანონმდებლობის შესაბამისად, მოხდება გზშ-ს ჩატარება, რა დროსაც უკვე იქნება შესაძლებელი კონკრეტულად დადგინდეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათი. ზოგიერთი აქტივობა, მაგალითად როგორიცაა საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მშენებლობა, სკრინინგის პროცედურის გარეშე პირდაპირ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ბ.გ) რაც შეეხება ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიის ფასეულობასა და მოწყვლადობას, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის 2019-2023“ პროექტში მითითებულია, რომ მაღალმთიანი დასახლებების განვითარებისადმი საჭიროა კომპლექსური, განსხვავებული მიდგომები მოსახლეობის სიმჭიდროვის, რელიეფის დახრილობის, სასოფლო-სამეურნეო მიწების სიმცირის, მიწისა და ადამიანური რესურსების თანაფარდობის მაჩვენებელის, ბუნებრივი კატასტროფებისადმი მოწყვლადობის მიხედვით. ასევე, მაღალმთიანი დასახლებები გამოირჩევა კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული, არქეოლოგიური და

ბუნებრივი ძეგლების სიმრავლით, მრავალფეროვანი ლანდშაპტით. მაღალმთიანი რეგიონებისათვის დაცული ტერიტორიების შედარებით დიდი და მზარდი ფართობი ძლიერი მხარეა. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც განხორციელდება დაცულ ტერიტორიებზე, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ღონისძიების განმახორციელებელია თავად გარემოსდაცვით შეფასებაზე უფლებამოსილი სახელმწიფო უწყება - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ან მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირები. სავარაუდოა, რომ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ხასიათი არ არის იმ ხარისხის, რაც აღნიშნული აქტივობების განუხორციელებლობის საფუძველი გახდებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ სკრინინგის შესახებ ჩვენი განცხადება და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონით დადგენილ უმოკლეს ვადაში მიიღოთ გადაწყვეტილება, საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023-ის სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დაქვემდებარება/არ დაქვემდებარების თაობაზე.

დანართი 1: 48 (ორმოცდარვა) ფურცელი.

დანართი 2: 1 Excel ფაილი.

მზია გიორგობიანი

მინისტრის მოადგილე